ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7885115

ნომერი: AR11137502

თარიღი : 07.04.2026

გაცემის თარიღი : 17.04.2026

გაცნობის თარიღი : 17.04.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 188ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე ქემოკლიძე პ/ნ 01024073884
- ბალანჩივაძის #39

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, ცეცხლმედეგი გამმიჯნავის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის, მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლში არსებული სათავსოების ფუნქციის ცვლილება ფართების გეგმარების ცვლილება და აშ. რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებით დამტკიცებული ,,შენობა–ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ ტექნიკური რეგლამენტით. რომ ფუნქციის ცვლილება წარმოადგენს არსებული შენობის რეკონსტრუქციას, რაც საჭიროებს შესაბამისი ნებართვის გაცემას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით , რადგან ამონაწერი საჯარო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით სარეკონსტრუქციო ფართი წარმოადგენს ავტოფარეხს და რეკონსტრუქციით ხდება სათავსის დაკავებულობის ცვლილება , აღნიშნული სამუშაოები ვერ განიხილება I კლასის რეკონსტრუქციის კუთხით.

ასევე გაცნობებთ პროექტის შეთანხმების ეტაპზე , მკაცრად რეგულირდება ავტოფარეხების რაოდენობა , შესაბამისად სამსახური მისი უფლებამოსილების გათვალისწინებით ვერ დაეთანხმება შეთანხმებული პროექტით ავტოსადგომების შემცირებით , ვერც ძირითადი შენობის რეკონსტრუქციით ცვლილების განხორციელბის შესაძლებლობას, რადგან ქალაქში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საკითხი, დღეის მდგომარეობით სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.
შესაბამისად სამსახურს მისი უფლებამოსილების გათვალისწინებით მიზანშეწონილად არ მიაჩნია ავტოფარეხის ფუნქციის ცვლილება და მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი AR11137502 განაცხადის მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.